ხელშეკრულება №70 /5

ქ. თბილისი 03.01.2017წ.

ერთი მხრივ, სსიპ. ქ. რუსთავის №21-ე საჯარო სკოლა (შემდგომში „დამკვეთი") და მისი დირექტორის ნინო გაეაშელი-ს სახით და მეორე მხრივ შ.პ.ს „სანტექ სერვისი" (შემდგომში „შემსრულებელი") მისი დირექტორის ზვიად სამუშია-ს სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ვაფორმებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ. ქ. რუსთავის №21-ე საჯარო სკოლის ტერიტორიაზე არსებული წყალსადენ-კანალიზაციის (CPV 90470000) და გათბობის ქსელზე (CPV 50720000) (გათბობის ქვაბზე მომსახურება არ შედის) საავარიო მომსახურება.

1.2 ხელშეკრულების საფუძველზე შემსრულებელი ვალდებულია შეასრულოს შემდეგი საავარიო სამუშაოები: სამუშაოების ჩამონათვალი იხილეთ დანართ №1-ში, რომელიც არის ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.

1.3 ხელშეკრულების საფუძველზე სსიპ. ქ. რუსთავის №21-ე საჯარო სკოლა ირიცხება შ.პ.ს „სანტექ სერვისი"-ის აბონენტად.

ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 მომსახურების ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნული ლარით.

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 1440 (ათასოთხასორმოცი) ლარი.

2.3 ხელშეკრულების 2.2 პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

შესყიდვების ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1 შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ შესასყიდი მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს დამკვეთის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

3.2 შემსრულებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს კუთვნილი სადაზღვეო მომსახურების გაწევა დამკვეთის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

მომსახურების გაწევის ვადები, ადგილი და პირობები

4.1 ხელშეკრულება ძალაში შედის 2017 წლის 03 იანვრიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

4.2 მომსახურების მიწოდება ხორციელდება 2017 წლის 03 იანვრიდან- 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვეო მომსახურების გაწევის ადგილია ქ. რუსთავი/მესხიშვილის II გასასვლელი №3. სსიპ. ქ. რუსთავის №21-ე საჯარო სკოლის ტერიტორიაზე არსებული წყალსადენ-კანალიზაციის და გათბობის ქსელი.

ანგარიშსწორების ფორმა და გრაფიკი

5.1 შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ლარში.

5.2 ხელშეკრულების განსაზღვრული მომსახურების გაწევის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

5.3 ანგარიშსწორება დამკვეთის მიერ მოხდება მიღება-ჩაბარების მიწოდებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში, ყოველთვიურად 120 (ასოცი) ლარის ოდენობით.

მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 დამკვეთს უფლება აქვს:

- შეამოწმოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

6.2 დამკვეთი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება შემსრულებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

6.3 შემსრულებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს დამკვეთს შესყიდვის ობიექტის ღირებულებისანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6.4 შემსრულებელი ვალდებულია:

- შეასრულოს ხელშეკრულებით . გათვალისწინებული მომსახურება დროულად და ხარისხიანად.
- საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის, ნაკლის აღდგენა.
- დროულად განიხილოს დამკვეთის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებიტი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

7.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

7.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

7.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში „დამკვეთს" შეუწყდება მომსახურება.

დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს კანონმდებლობის შესაბამისად.

სხვა პირობები

10.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

10.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

10.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

10.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის იქნება წერილობითი ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

„დამკვეთი"	„შემსრულებელი"
სსიპ. ქ. რუსთავის №21-ე საჯარო სკოლა მის: ქ. რუსთავი/ მესხიშვილის II გასასვლელი №3 ს/კ 216317297 ტელ: 577211430 sajaroskola21@gmail.com დირექტორი /ნ. გავაშელი/ ----------	„შემსრულებელი" შ.პ.ს. "სანტექ სერვისი" იურიდიული მის: ქ. თბილისი, შ. ნუცუბიძის ფერდ. 4მკ/რ. კორ. 19ა. ბ. 45 ს/კ 404925836 ს.ს. „თი ბი სი ბანკი" ბ/კ TBCBGE22 ა/ა GE43TB7072436050100002 ტ. 245-02-10; 245-45-46; 579 76-72-78. info@santeqservice.ge დირექტორი /ზ.სამუშია/ ----------

სსიპ. ჟ. რუსთაველის №21 საჯარო სკოლა

დანართი №1

შ.პ.ს. „სანტექსერვისი"-ს სააბონენტო მომსახურების პაკეტში შედის:

№	სამუშაოს დასახელება
1	საკანალიზაციო სიფონის გაწმენდა
2	საკანალიზაციო დგარის გაწმენდა-გასუფთავება
3	საკანალიზაციო ტრაპის გაწმენდა-გასუფთავება
4	საკანალიზაციო მწოლიარე მილის გაწმენდა
5	საკანალიზაციო ჭის გაწმენდა
6	ხელსაბანის მილის გაწმენდა
7	უნიტაზის გაწმენდა
8	სამზარეულოს მილის გაწმენდა
9	შენობაში არსებული ამორტიზირებული წყალსადენის, კანალიზაციის და გათბობის მილის შეკეთება, შეცვლა
10	დაზიანებული დრენაჟი მილის შეცვლა
11	დაზიანებული ონკანის შეკეთება, შეცვლა
12	დაზიანებული ბურთულიანი ვენტილის შეცვლა
13	დაზიანებული უნიტაზის ავზის შეკეთება, შეცვლა
14	მოტეხილი რადიატორების შეკეთება
15	დაზიანებული რადიატორების ვენტილების შეცვლა

მომსახურება არ ითვალისწინებს ბრუნტის დამუშავებას და სანტექნიკურ მასალას